2025 წლის „მაგისტრანტთა სასწავლო-კვლევითი პროექტების გრანტით დაფინანსების კონკურსი“

ხშირად დასმული კითხვები

1. **რეგისტრირდებიან თუ არა GMUS-ში ხელმძღვანელი და კონსულტანტი?**

პასუხი: დიახ, სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი და საქართველოს მოქალაქე კონსულტანტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ცალ-ცალკე რეგისტრირდებიან GMUS-ში, ქმნიან “მეცნიერის პროფილს”, ავსებენ ბიოგრაფიულ მონაცემებს და ტვირთავენ დოქტორის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელ დოკუმენტებს. უცხოელი კონსულტანტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) არ რეგისტრირდება GMUS-ში, მისი CV ინგლისურ ენაზე შესაბამისი ქართული თარგმანით შეიძლება იყოს ნებისმიერი ფორმატის, ხოლო დოქტორის აკადემიური ხარისხი და აკადემიური პოზიცია უნდა დასტურდებოდეს მის მიერ მითითებულ ოფიციალურ ვებ-გვერდის ბმულში ან/და დამსაქმებლის მიერ 2025 წელს გაცემულ სამსახურის ცნობაში.

2. **რა შემთხვევაში სჭირდება მაგისტრანტს ცნობა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის უსასყიდლოდ გამოყენების შესახებ?**

პასუხი: აღნიშნული ცნობა მაგისტრანტს სჭირდება იმ შემთხვევაში, თუ იგი კვლევის განსახორციელებლად იყენებს სხვა ორგანიზაციის, კვლევითი ცენტრის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას უსასყიდლოდ.

3. **სად უნდა ატვირთოს მაგისტრანტმა ნიშნების ფურცელი?**

პასუხი: მაგისტრანტმა მაგისტრატურის ნიშნების ფურცელი (PDF-ვერსია) უნდა გაერთიანოს მაგისტრატურის აკრედიტირებულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის შესახებ ცნობის (დანართი 5) PDF-ვერსიასთან ერთად და ატვირთოს ორივე საბუთი ერთ გაერთიანებულ PDF დოკუმენტად GMUS- ში პროექტის რეგისტრაციის დროს სამეცნიერო გუნდის“ გვერდის „მაგისტრანტის“ შესაბამის ველში.

4. **ხელმძღვანელისა და კონსულტანტის რა დოკუმენტები უნდა წარმოადგინოს მაგისტრანტმა პროექტში?**

პასუხი: მაგისტრანტმა პროექტის რეგისტრირებისას უნდა წარმოადგინოს ხელმძღვანელისა და კონსულტანტის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) პროფესიული ბიოგრაფიები (CV) და კონსულტანტის თანხმობის წერილი. საქართველოს მოქალაქე

კონსულტანტის შემთხვევაში თანხმობის წერილი წარმოდგენილი უნდა იყოს მხოლოდ ქართულ ენაზე. იმ შემთხვევაში თუ კონსულტანტი არის უცხოელი, ეს დოკუმენტები წარმოდგენილი უნდა იყოს ინგლისური ორიგინალისა და ქართული თარგმანის სახით. საქართველოს მოქალაქე კონსულტანტმა თავის ,,მეცნიერის პროფილში" ასევე უნდა ატვირთოს დოქტორის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი და აკადემიური პოზიციის დამადასტურებელი სამსახურის ცნობა 2025 წლის მდგომარეობით.

5. **სად უნდა აიტვირთოს უცხოელი კონსულტანტის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტები?**

პასუხი: უცხოეთის მოქალაქე კონსულტანტის დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი და აკადემიური/სამეცნიერო პოზიცია უნდა დასტურდებოდეს დამსაქმებელი უმაღლესი საგანმანათლებლო ან/და სამეცნიერო კვლევითი დაწესებულების მიერ 2025 წლის მდგომარეობით გაცემული ცნობით ან/და ოფიციალური ვებ-გვერდის ბმულით (ცნობაც ან/და ბმულიც იტვირთება/ივსება პროექტის რეგისტრაციისას GMUS-ში).

6. **შეიძლება თუ არა, სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი და სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი იყოს ერთი და იგივე ადამიანი?**

პასუხი: დიახ, შეიძლება.

7. **შეიძლება თუ არა საკონკურსო განაცხადი წარმოადგინოს ორმა მაგისტრანტმა?**

პასუხი: კონკურსი ინდივიდუალური ტიპისაა და კონკურსის პირობების მიხედვით, კონკურსში მონაწილეობა და განაცხადის გაკეთება შეუძლიათ მაგისტრანტებს ინდივიდუალურად. ერთ მაგისტრანტს შეუძლია განაცხადის გაკეთება ერთ პროექტზე. ამასთანავე, ერთ მაგისტრანტს კონკურსზე შეუძლია წარადგინოს მხოლოდ ერთი პროექტი.

8. **აუცილებელია თუ არა საგრანტო კონკურსზე წარმოდგენილი კვლევა და სამაგისტრო ნაშრომი იყოს იდენტური?**

პასუხი: მაგისტრანტთა სასწავლო-კვლევითი პროექტების დასაფინანსებლად გრანტების გაცემის მიზანია მაგისტრატურის აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული მაგისტრანტების სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში სამეცნიერო კვლევების ხარისხის გაზრდის, აკადემიური დონის ამაღლებისა და კვლევითი უნარ-ჩვევების განვითარების ხელშეწყობა, შესაბამისად, საპროექტო განაცხადი რასაც წარმოადგენთ უნდა იყოს სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში.

9. **სტიპენდია და სწავლის საფასური სხვადასხვა ხარჯვით კატეგორიებს წარმოადგენს თუ არა?**

პასუხი: დიახ, სხვადასხვა კატეგორიებია. სტიპენდია წარმოადგენს პროექტის ბიუჯეტის ერთ-ერთ მუხლს, ხოლო სწავლის სემესტრული გადასახადი შეგიძლიათ გაითვალისწინოთ პროექტის ბიუჯეტის „სასწავლო და კვლევითი პროცესის წარმართვისათვის აუცილებელი სხვა ხარჯების“ ფარგლებში.

10. **არის თუ არა გრანტი გათვალისწინებული უცხოელ კონსულტანტზე?**

პასუხი: არა, საგრანტო დაფინანსება არ ითვალისწინებს პროექტში ჩართული სხვა პირების (სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი, კონსულტანტი) შრომის ანაზღაურებას.

11. **უცხოეთში კვლევითი ვიზიტის ხარჯებთან დაკავშირებით რაიმე ლიმიტები არსებობს?**

პასუხი: უცხოეთში კვლევითი ვიზიტის ფარგლებში სადღეღამისო და საცხოვრებელი ფართობის დაქირავების/სასტუმროს ხარჯების ლიმიტები განისაზღვრება „დაქირავებულისათვის გადახდილი სამივლინებო ხარჯების ნორმების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 5 აპრილის №220 ბრძანების შესაბამისად, ხოლო მგზავრობის დროს უნდა ისარგებლოთ ეკონომკლასის ბილეთით.

12. **შეიძლება თუ არა, ბიუჯეტი ითვალისწინებდეს სატრანსპორტო საშუალებისთვის გაწეულ ხარჯს (მაგ: საწვავის შეძენა, ტრანსპორტის დაქირავება...)?**

პასუხი: დიახ, სასწავლო და კვლევითი პროცესის ტექნიკური აღჭურვის, ლაბორატორიული საშუალებების, საველე სამუშაოების ხარჯების მუხლში შეგიძლიათ გაითვალისწინოთ საველე სამუშაოებისა ან/და ექსპედიციის ფარგლებში სატრანსპორტო საშუალების დაქირავების, ან საწვავის შეძენის ხარჯი.

13. რამდენ ეტაპად ირიცხება საგრანტო დაფინანსება?

პასუხი: საგრანტო ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ მაგისტრანტს ავანსის სახით ერიცხება პროექტით გათვალისწინებული ბიუჯეტის 80%.კვლევისთვის საჭირო ყველა შესყიდვა უნდა განხორციელდეს საანგარიშო პერიოდის განმავლობაში. პროექტის ბიუჯეტის დარჩენილი 20% ირიცხება მაგისტრანტის მიერ წარმოდგენილი

ანგარიშის საფუძველზე ხელშეკრულების გეგმა-გრაფიკით გათვალისწინებული ამოცანებისა და შედეგების სრულად შესრულების შემდგომ.

14. ერთ წლიანი სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებს შეუძლიათ მაგისტრანტთა საგრანტო პროგრამაში მონაწილეობა?

პასუხი: შეუძლიათ.

15. აუცილებელია, რომ პროექტის დასასრულს (10 თვის შემდეგ) უკვე დაცული მქონდეს მაგისტრის ხარისხი? სამაგისტრო საფეხურის დასრულებამდე მიმდინარე სემესტრის გარდა დამრჩა 2 სემესტრი. 2026 წლის ოქტომბერში (რადგან შედეგები დეკემბერში ქვეყნდება აქედან 10 თვეს ვითვლი) თქვენ რომ წარმოგიდგინოთ დასრულებული კვლევა და დეკემბერში დავიცვა ხარისხი ასე შესაძლებელი იქნება?

პასუხი: კონკურსის პირობების მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, 2025 წლის დეკემბრის მდგომარეობით თუ თქვენ იქნებით **დამამთავრებელის წინა სემესტრში რეგისტრირებული აქტიური სტატუსის სტუდენტი**, მაშინ შეგიძლიათ მონაწილეობა მიიღოთ ამ კონკურსში. თუ თქვენი სამაგისტრო ნაშრომის დაცვა იგეგმება 2026 წლის შემოდგომის სემესტრში, თქვენ შეგიძლიათ დაგეგმოთ 10 თვიანი პროექტი , რომელიც მოიცავს მეოთხე სემესტრს და პროექტის დასრულებამდე უნდა დაიცვათ სამაგისტრო ნაშრომი.

16. პროექტის ბიუჯეტის ბ) პუნქტში არის ასეთი ჩანაწერი "გარდა დღიური ხარჯისა" მაინტერესებს რა იგულისხმება ამ ჩანაწერში, შეგვიძლია თუ არა ექსპედიციების ან კონფერენციის დროს გავითვალისწინოთ კვების ხარჯები?

პასუხი: ექსპედიციის დროს შეგიძლიათ გაითვალისწინოთ ან კვების ხარჯი ან დღიური ხარჯი (ერთერთი). ღონისძიებაზე/კონფერენციაზე მონაწილეობის მიღების შემთხვევაში უნდა გაითვალისწინოთ დღიური ხარჯი. კვების ხარჯის გათვალისწინების შემთხვევაში მონიტორინგის ფარგლებში უნდა წარმოადგინოთ ფინანსური დოკუმენტაცია თითოეულ პროდუქტზე. დღიური ხარჯის გათვალისწინების შემთხვევაში კონკრეტული შესყიდვების დოკუმენტაციის წარმოდგენა აუცილებელი არ არის.

17. **ვაპირებ მონაწილეობა მივიღო ბათუმის საერთაშორისო კონფერენციაში და სავარუდო ბიუჯეტად განსაზღვრული მაქვს ეს ბიუჯეტი.**
მატარებლის ბილეთები - 75 ლარი, სასტუმრო (ბათუმი) - 400 ლარი.
გთხოვთ მომაწოდოთ ინფორმაცია რამდენი შემიძლია რომ დღიურ ხარჯად გავითვალისწინო?

პასუხი: დღიური ხარჯი არ მოიცავს მატარებლისა და სატუმროს ხარჯებს. დღიური ხარჯი ქვეყნის შიგნით მივლინებისას ფინანსთა მინისტრის ბრძანება № 200-ის შესაბამისად არის დღიურად 30 ლარი. მგზავრობისა და სასტუმროს ხარჯებს ქვეყნის შიგნით ლიმიტები არ აქვს.

18. **შესაძლებელია თუ არა, რომ მაგისტრანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი არ იყოს იმავე უნივერსიტეტის ლექტორი ან აკადემიური პერსონალი, სადაც ის სწავლობს?**

პასუხი: შესაძლებელია, თუ იგი მითითებული იქნება თქვენს მიერ წარმოადგენილ „ცნობაში მაგისტრატურის აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის შესახებ (დანართი 5) და ცნობა დადასტურებული იქნება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამისი პასუხისმგებლობის მქონე პირ(ებ)ის ხელმოწერ(ებ)ითა და დაწესებულების ბეჭდით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) იხილეთ დანართი1-ის „მაგისტრანტთა სასწავლო-კვლევითი პროექტების გრანტით დაფინანსების კონკურსის“ პროგრამა და პირობები-ის მუხლი 4-ის პუნქტი 1-ის ქვეპუნქტი დ)

19. **თუ მიწევს გამოვიყენო საზღვარგარეთ არსებული დაწესებულების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, პროექტით გათვალისწინებული საერთაშორისო ვიზიტისას, დანართი 9 უნდა შეავსოს მიმღებმა დაწესებულებამ? ეს ფორმა მხოლოდ ქართულ ენაზეა და მაინტერესებს როგორია პროცედურა?**

პასუხი: საკმარისი იქნება, რომ თქვენმა უცხოელმა კონსულტანტმა თანხმობის წერილში დანართი № 6.2 ENG-ში ჩაწეროს თქვენს მიერ საზღვარგარეთ არსებული დაწესებულების მატერიალურ-ტექნიკური ბაზით სარგებლობის შესახებ.